



გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 8 ოქტომბერი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“ თბილისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
5. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
6. ელენე რუსეცკაია - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
7. მათა კუპრავა - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
8. ნათია კოსტავა - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
9. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
10. თამარ გელდიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
11. თამარ ნავლარაშვილი - ცენტრი „ემპათია“
12. ნანა სუმბაძე - საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
13. ეკა წერეთელი - ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

განსახილველი საკითხები:

- ✓ გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის 2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტის განხილვა
- ✓ ფოკუს ჯგუფთან კვლევისთვის მუშაობა
- ✓ სხვა საკითხები

გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ბატონმა ლაშა ტულუშმა, რომელმაც პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ქვეჯგუფის კოორდინატორს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავებისთვის. მან აღნიშნა რომ ეს დოკუმენტი არის მორგებული ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს.

ბატონმა ლაშა ტულუშმა მოუწოდა ქვეჯგუფის წევრ ორგანიზაციებს გამოიყენონ ის ბერკეტები და საშუალებები, რომლებსაც პლატფორმა სთავაზობს წევრ ორგანიზაციებს. გაფორმებული მემორანდუმები პარლამენტთან და მთავრობასთან ძლიერი მექანიზმია ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის. ასევე მან ისაუბრა რეგიონალურ თვითმმართველობებთან გაფორმებულ მემორანდუმებზე და ამ მემორანდუმით მიღებულ თანამშრომლობის ფორმის ჩამოყალიბებაზე.

ქვეჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლიკა ნადარაიამ თავდაპირველად ისაუბრა იმ რესურსზე, რომელიც ზოგადად საქართველოში არსებობს გენდერული საკითხების ირგვლივ და მან აღნიშნა რომ ჩვენს რეგიონში საქართველოს მსგავსი პოტენციალი და მიღწევები არავის არ აქვს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ მიმდინარე პროექტების მნიშვნელობას და აუცილებლობას, რომელსაც ამ ეტაპზე ახორციელებენ წევრი ორგანიზაციები.

ქალბატონმა ლიამ აღნიშნა, რომ ქვეჯგუფის სამოქმედო გეგმა, რომელიც მან შესთავაზა წარმოდგენილ ორგანიზაციებს არის სამუშაო ვერსია და ყველას შეუძლია თავისი მოსაზრებების და შეხედულებების, ასევე ინიციატივებისა და აქტივობების შეთავაზება და სამოქმედო გეგმის დახვეწა, რომელიც ბოლოს საშუალებას მისცემს საბოლოო სახე მიეცეს და დამტკიცდეს ეს დოკუმენტი. ასევე მან აღნიშნა რომ საქართველოს ეროვნული

პლატფორმა არის მისთვის ახალი ინსტრუმენტი, რომელიც არის ქმედითი და აღჭურვილია ქმედითი მექანიზმებით.

იმ მიზნით რომ შემუშავებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და მასში გაწერილი მიზნები და ამოცანები არ ყოფილიყო ბუნდოვანი, ქალბატონმა ლიამ გააკეთა სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია, რომელშიც მან დეტალურად ისაუბრა დაგეგმილ აქტივობებზე და მოსალოდნელ შედეგებზე. თავის მხრივ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილმა ორგანიზაციებმა თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები გაუზიარეს ღვეჯგუფის კოორდინატორს.

ქვეჯგუფის კოორდინატორმა განაცხადა, რომ მისთვის ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ის ამოცანა, რომელიც ეხება საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების გენდერული აუდიტის ჩატარებას. მან აღნიშნა რომ უკვე საერთაშორისო ასპარეზზე არსებობს შემუშავებული ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს გენდერული აუდიტი. 2019 წლისთვის თუ მოხერხდება ამ ამოცანის განხორციელება ეს იქნება უდიდესი ნაბიჯი რომელიც მოგვცემს გენდერული პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც უკვე აქვს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას და უნდა ქონდეს გაკეთებული პლატფორმასაც, რადგან ეს იქნება განაცხადი, რომ ჩვენ ვართ ამ საკითხშიც მოწინავეები. ეს დოკუმენტი გახდის პლატფორმას უნიკალურს სხვა პლატფორმებთან შედარებით. ეს დოკუმენტი მოგვცემს საშუალებას, რომ აღმოვაჩინოთ ის სუსტი წერტილები, რომელიც ამ კუთხით აქვს პლატფორმას. აღნიშნულ ინიციატივას დამსწრე პირებმა მხარი დაუჭირეს.

შეხვედრის დასასრულს ქვეჯგუფის შეხვედრაზე წარმოდგენილი ორგანიზაციები შეთანხმდნენ რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა პრინციპულად ყველა ორგანიზაციისთვის არის მისაღები. ამასთან ორგანიზაციებს მიეცათ დრო თავიანთი მოსაზრებების წერილობით გაზიარებისთვის, რათა მოხდეს სამოქმედო გეგმის დახვეწა და მისთვის საბოლოო სახის მიცემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ორგანიზაციის მოსაზრება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე